№ 21

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ლაგოდეხი 9 ივნისი 2014 წ

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრი" წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი ზურაბაშვილის სახით („შემდგომში შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. ლაგოდეხი, კოსტავას ქ. N1 და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „პაატა მეტრეველი "–ს სახით („შემდგომში მიმწოდებელი") იურიდიული მისამართი ქ. ლაგოდეხი ქიზიყის ქ. N27, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები /45300000/ კერძოდ ქ.ლაგოდეხის ტერიტორიაზე სარეკლამო ბანერების სამონტაჟო სამუშაოები თანდართული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 3176.21 /სამი ათას ასსამოცდათექვსმეტი ლარი და ოცდაერთი თეთრი / ლარს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად 2014 წლის 10 ივლისამდე .

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული შესყიდვის ობიექტი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტი მიღებას, ხოლო თუ, შესყიდვის ობიექტი ს მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი შესყიდვის ობიექტი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა შესყიდვის ობიექტის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი შესყიდვის ობიექტის შეცვლა სათანადო ხარისხის შესყიდვის ობიექტით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას მიღება–ჩაბარების აქტი, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ლაგოდეხში, კოსტავას ქ.N1, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმეტის საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი'' ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „ შემსყიდველს'' უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

7.1.2. „შემსყიდველს'' მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი შესყიდვის ობიექტის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი'' ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლის'' დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2.განაცხადოს უარი უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

9. ფორს–მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3.ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარიდან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი იმფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ღირებულების 5%–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

15.1.3.ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდალური დღის განმავლობაში;

15.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. ხელშეკრულების მოქმედებს ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 20 აგვისტომდე .

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

17.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრი	ინდ. „ პაატა მეტრეველი "
ს/კოდი: 433101742	ს/კოდი: 25001003520
მის: ქ. ლაგოდეხი, კოსტავას ქ.N1	მის: ქ. ლაგოდეხი ქიზიყის ქ. N27
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"ლაგოდეხის ფილიალი	ს.ს. "ლიბერთი ბანკი" ლაგოდეხის ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22	ბ/კოდი LBRTGE22
ანგ. N GE91LB0115120420198000	ანგ. N GE83LB0112144023373000
/დიმიტრი ზურაბაშვილი/	/პაატა მეტრეველი/

შ.პ.ს. „ხუროთმოძღვარი“

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აარპ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრი

ბანერების მონტაჟის სამუშაოები

ღირებულების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – **3176,21** ლარი

დირექტორი: /მ. ტაბატაძე/

შეადგინა: /ზ. თანდილაშვილი/

ქ. ლაგოდეხი ქიზიყის ქ. №25

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ააიპ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და
საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრი
ბანერების მონტაჟის სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 3176,21 ლარი

№	ნორმატივის შიფრი	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზ-ბა	რაოდენობა		მასალა		ხელფასი		მექანიზმი ტრანსპ.		სულ
				ნორმა-ტივის ერთ-ზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	საბაზრო	სარეკლამო ბანერის კონსტრუქციის მონტაჟი (სამკუთხა ფორმის სამი საყრდენით) 2X(0.95X1.31)	ც		3			50	150.00			150.00
	სრფ 2.2-51	ტრუბაკვადრატი 40X80	გრძ.მ		27	4.90	132.30					132.30
	სრფ 2.2-42	ტრუბაკვადრატი 40X40	გრძ.მ		13.5	3.30	44.55					44.55
	სრფ 2.2-12	ტრუბაკვადრატი 20X20	გრძ.მ		54	1.60	86.40					86.40
	სრფ 1.2-31	კუთხოვანა 2,5X2,5	გრძ.მ		27	1.40	37.80					37.80
	საბაზრო	ფურცლოვანი ფოლადი	მ^2		7.2	21.2	152.64					152.64
	საბასრო	მინა 4 მმ	მ^2		7.2	12.0	86.4					86.4
		სულ					540.09		150			690.09
2	საბაზრო	სარეკლამო ბანერის კონსტრუქციის მონტაჟი (სამკუთხა ფორმის სამი საყრდენით) 2X(0.95X1.30)	ც		1			50	50.00			50.00
	სრფ 2.2-51	ტრუბაკვადრატი 40X80	გრძ.მ		9	4.90	44.10					44.10
	სრფ 2.2-42	ტრუბაკვადრატი 40X40	გრძ.მ		6	3.30	19.80					19.80
	სრფ 2.2-12	ტრუბაკვადრატი 20X20	გრძ.მ		18	1.60	28.80					28.80
	სრფ 1.2-31	კუთხოვანა 2,5X2,5	გრძ.მ		9	1.40	12.60					12.60
	საბაზრო	ფურცლოვანი ფოლადი	მ^2		2.4	21.2	50.88					50.88
	საბაზრო	მინა 4 მმ	მ^2		2.4	12.0	28.8					28.8
		სულ					184.98		50			234.98
3	საბაზრო	ორმხრივი სარეკლამო ბანერის კონსტრუქციის მონტაჟი (ერთ საყრდენზე) (0.95X1.31)	ც		1			50	50.00			50.00
	სრფ 2.2-51	ტრუბაკვადრატი 40X80	გრძ.მ		12	4.90	58.80					58.80
	სრფ 2.2-12	ტრუბაკვადრატი 20X20	გრძ.მ		18	1.60	28.80					28.80

2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
სრფ 1.2-31	კუთხოვანა 2,5X2,5	გრძ.მ		9	1.40	12.60					12.60
საბაზრო	ფურცლოვანი ფოლადი	მ^2		2.4	21.2	50.88					50.88
საბაზრო	მინა 4 მმ	მ^2		2.4	12.0	28.8					28.8
	სულ					179.88		50			229.88
4	საბაზრო	დიდი ორმხრივი სარეკლამო ბანერის კონსტრუქციის მონტაჟი განათებით (ორ საყრდენზე) 2X(2,05X1.5)	ც	1			200	200.00			200.00
სრფ 2.2-51	ტრუბაკვადრატი 40X80	გრძ.მ		24	4.90	117.60					117.60
სრფ 2.2-12	ტრუბაკვადრატი 20X20	გრძ.მ		35	1.60	56.00					56.00
სრფ 1.2-31	კუთხოვანა 2,5X2,5	გრძ.მ		14	1.40	19.60					19.60
საბაზრო	ფურცლოვანი ფოლადი 2 მმ	მ^2		6	21.2	127.2					127.2
სრფ7.17-177	სანათი	ც		4	18.2	72.80					72.80
საბაზრო	მინა 4 მმ	მ^2		12	12.0	144.0					144.00
	სულ					537.2		200			737.2
5	სნ და წ 15-164-8 ტექ. ნაწ. კ=0,21 კ=0,21	შეიღებოს ბანერები ზეთოვანი საღებავით	მ^2	25							
	შრ. დანახარჯი	კაც/სთ	1,224	30.6			4.6	140.76			140.76
სრფ 4.2-18	ზეთოვანი საღებავი	კგ	0,246	6.15	4.5	27.68					27.68
	სულ					27.68		140.76			168.44
6	სრფ 12-102	ელ. შემდუღებელი აგრეგატი	მანქ/სთ		16		3.34	53.44	21.17	338.72	392.16
სრფ 1.9-15	ელექტროდი	კგ		6	2.6	15.60					15.60
	სულ					15.6		53.44		338.72	407.76
7	სნ და წ 1-80-7	ბანერების ადგილზე მონტაჟისათვის ორმოების ამოთხრა ხელით, 15X0,5X0,5X0,5(H)	მ^3	1.875							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	3,88	7.28			4.6	33.49			33.49
	სულ							33.49			33.49
8	სნ და წ 6-1-2	ორმოებში ბანერების ჩაყენება და დაბეტონება მიწის ზედაპირამდე 15X0,5X0,5X0,5	მ^3	1.875							
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	4,5	8.44			4.6	38.82			38.82
სრფ4.1-282	ბეტონი	მ^3	1,02	1.91	96	183.36					183.36
	სულ					183.36		38.82			222.18
	სულ										2724.02

2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	ზედნადები ხარჯები 10%										272.4
	სულ										2996.42
	გეგმიური დაგროვება 6%										179.79
	სულ										3176.21

ხარჯთაღრიცხვა შეადგინა: ზ. თანდილაშვილი

დირექტორი: მ. ტაბატაძე